წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4826320168; 16/11/2026) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.(დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე ნიკა მჟავია

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826320168**
თარიღი: **16/11/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ (ს/კ 421274515) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი 2026 წლის 6 ნოემბრის №126/26 წერილით ითხოვს ცვლილების შეტანას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334615 ბრძანებაში „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“.

ცვლილების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იურიდიული მისამართის შეცვლით. კერძოდ, ცენტრის ახალ იურიდიულ მისამართად განისაზღვრება: ქ. წყალტუბო, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №3ა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცებაზე.

დანართი: 15 (თხუთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 29.08.09.009.01.502

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016893818 - 23/12/2016 17:13:01

მომზადების თარიღი
03/01/2017 10:47:08

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
წყალტუბო	ქ. წყალტუბო			
29	**08**	**09**	**009**	**01/502**

მისამართი: ქალაქი წყალტუბო , ქუჩა გ. ტაბიძე , N 3-ა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაუზუსტებელი ფართობი:697.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **N1შენობა-ნაგებობა.**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016893818 , თარიღი 23/12/2016 17:13:01
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/01/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა. N694 , დამოწმების თარიღი:07/07/2010 , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
- ბრძანება. N1-1/919 , დამოწმების თარიღი:03/06/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

მესაკუთრეები:
სსიპ თვითმმართველი თემი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:221274546

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
სსიპ თვითმმართველი თემი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	საკუთრება	ფართი	**სართული1,502**	174.32 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შებღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016893818 თარიღი 23/12/2016 17:13:01	უზუფრუქტუარი: ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" 421271563; მესაკუთრე: სსიპ თვითმმართველი თემი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი221274546; საგანი:I სართულზე მდებარე 174.32 კვ.მ. ფართი; ვადა:2 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/01/2017	ხელშეკრულება მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, რეესტრის ნომერი N45, დამოწმების თარიღი23/12/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ-ი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ (შემდგომში – „ცენტრი“) არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ), რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის მოვლა-შენარჩუნებისა და განვითარების დარგში.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ დაფუძნებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“

3. „ცენტრი“ როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გააჩნია თავისი შემოსავლები, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. „ცენტრი“ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის დებულებებისა და ამ წესდების საფუძველზე.

5. „ცენტრს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი ქალაქის ტურისტული ლოგოს გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, კანონმდებლობის საფუძველზე გადაცემული ქონება, ანგარიშები ბანკში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. „ცენტრი“ ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე და ასრულებს კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ ამოცანებს.

7. „ცენტრი“ ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან.

8. „ცენტრის“ იურიდიული მისამართია: ქ. წყალტუბო, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №3ა; ელექტრონული ფოსტა **tskaltubo.centertourism@gmail.com**

მუხლი 2. „ცენტრის“ მიზნები და ამოცანები

1. „ცენტრის“ მიზნებია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია.

2. „ცენტრის“ამოცანებია:

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ზონის ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის: განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და პროგრამის შემუშავება; რესურსების სრული ინვენტარიზაცია და მათი გამოყენების კომპლექსური მონიტორინგის ჩატარება; საკვანძო პრობლემების გამოვლენა; კონკურენტული უპირატესობებისა და განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება; განვითარების ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრა და შეფასება; ოპტიმალური სტრუქტურისა და ფუნქციონირების რეჟიმის უზრუნველყოფა.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული, ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის (ბრენდის) ფორმირება;

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვა;

6. ადგილობრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე დანერგვა;

7. ტურისტულ-რეკრეაციულ სექტორში საინვესტიციო აქტივობების მაქსიმალური ხელშეწყობა;

8. ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების უზრუნველყოფა;

9. ტურისტული პროდუქტების იდენტიფიცირება, დივერსიფიკაცია და შექმნა-განვითარება;

10. ტურისტული პროდუქტების ხარისხისა და მომსახურების დონის ამაღლება;

11. ტურისტული მომსახურების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, მისი განზოგადება და გამოყენება;

12. კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის სხვადასხვა სახეობათა განვითარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული ობიექტების შექმნის მიზნით წინადადებების შემუშავება და განხორციელება;

14. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, აღდგენისა და განვითარების მიმართულებით მერიასა და საკრებულოს წინაშე წინადადებების დაყენება და შესაბამისი პროექტების ინიცირების უფლება;

15. ადგილობრივი ტურპროდუქტის მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტის გაფართოება;

16. ადგილობრივი ტურპროდუქტების ვალიდურობის ამაღლება საერთაშორისო დისტრიბუციის გამოყენებით; ინფო-ტურების ორგანიზება უცხოელი ტუროპერატორებისათვის;

17. ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის ფუნქციონირების სეზონურობის დაძლევა;

18. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიმზიდველი ტურისტული ცენტრის იმიჯის შექმნის მიზნით ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა;

19. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო და შიდა ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების რეკლამა/პროპაგანდა; (ბეჭდვითი

ფორმით (პერიოდულ პრესაში), ვიდეო სიუჟეტების, ბეჭდური გამოცემების (საინფორმაციო ბიულეტენები, ბროშურები) განთავსება ვებგვერდზე.)

20. საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება; პროფესიული კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სტრუქტურის გაფართოება;

21. სპეციალისტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

22. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ტურისტულ ადგილებში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება;

23. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ტურისტული მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებელებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყოფა;

24. ტურიზმთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და მხარდაჭრის აღმოჩენა.

25. ტურიზმის სფეროში პერსპექტული სამეცნიერო კვლევებისა და მათი შედეგების პრაქტიკული გამოყენების მხარდაჭერა;
26.წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;
27. მუნიციპალიტეტში ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა ;
28. მომსახურებების, ინსტრუმენტების, პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირება კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობისათვის;
29. საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი პროექტების და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების ყველა სფეროში შეღწევის ხელშეწყობა;
30. ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების და მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;
31. ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

32. ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების, პროექტების, პროგრამების, ინფრასტრუქტურის ფორმირების ხელშეწყობა;
33. ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნაში მონაწილეობა და მათი განვითარების ხელშეწყობა;
34. ბიზნესის და აკადემიური წრეების კოოპერაციის ხელშეწყობა;
35. უცხოური ტექნოლოგიების და ინოვაციების მოძიება, ანალიზი და დანერგვის ხელშეწყობა;
36. ინოვაციებზე და ცოდნაზე დამყარებული ახალი ბიზნეს-ინიციატივების ხელშეწყობა;
37. ინოვაციური პროექტების, პროდუქტების, ხელშეწყობა;
38. მუნიციპალიტეტში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის, ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობის და სხვა ელექტრონული სერვისების განვითარების ხელშეწყობა ;
39. ინტერნეტ პროექტების და ინტერნეტ სივრცის განვითარების ხელშეწყობა;
40. კვლევა-განვითარების, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროექტების, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ინოვაციური კომპანიების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირება;
41. ეროვნული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების პოპულარიზაცია;
42. დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, და სხვა ღონისძიებებს,
43. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.
44.„ცენტრი“ ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტებით მისთვის დაკისრებულ სხვა ამოცანებსა და ფუნქციებს.

მუხლი 3. „ცენტრის“კომპეტენცია

1. აწარმოოს მოლაპარაკებები დადადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

2. წარმართოს საკადრო საკითხები;

3. კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

4. განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

5.გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

6. გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში;

7. პერიოდულად (არანაკლებ წელიწადში ერთხელ) წარუდგინოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს შესაბამის კომისიას ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ;

8. სამოქმედო გეგმის მიხედვით შეიმუშაოს ხარჯთაღრიცხვა და უზრუნველყოს მისი აღსრულების კოორდინაცია;

9.შესაბამისი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების და შემოსულობების რაციონალური და ეკონომიკური გათვლა, მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველყოფა;

10.,,ცენტრის'' ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარისა ფასების, ჩამოწერისა და გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.,,ცენტრის''თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავება;

12. ,,ცენტრის'' თანამშრომელთა პროფესიულ უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

13.სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და ორგანიზება;

14.სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა;

15.სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი შესყიდვის საშუალებებისა და სავარაუდო ფასების განსაზღვრა, შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

16.კომპეტენციის ფარგლებში სატენდერო პროცედურების წარმართვა, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სატენდერო კომისიისთვის წარდგენა;

17.,,ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებით საქონლის, მომსახურების ან/და სამუშაოების შესყიდვების ორგანიზება, შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

18.,,ცენტრის“ ბალანსზე რიცხული ქონების, შენობა-ნაგებობებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების მოვლა, შენახვა, დაცვა, ექსპლოატაცია და ამ ქონების ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობა;

19.ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების, მათი ტექნიკურად გამართვის, ავტოსათადარიგო ნაწილებით, საწვავითა და საცხებ-საპოხი მასალებით ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

20.ელექტროქსელის, წყალმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, სველი წერტილების გამართული და შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

21.სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.

22.ტურიზმის სფეროში სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

23.ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების ორგანიზება და მონიტორინგი;

24.კომპეტენციის ფარგლებში, ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და მონაწილეობა.

25.საზოგადოების ინფორმირების მიზნით ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიწოდება;

26.მასმედიის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობა;

27. ,,ცენტრის“ საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება;

28. დონორებთან თანამშრომლობა და შესაბამისი პროექტების წარდგენა;

29.ტურიზმის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

30.მუნიციპალიტეტში ტურიზმის სტიმულირების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

31.ტურისტული ადგილებისა და პროდუქტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა;

32.შიდა ტურისტული ნაკადის ზრდის მიზნით ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში სხვადასხვა ტიპის ღონისძიების დაგეგმვა (კულტურული, სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები და სხვა) და განხორციელება;

33.მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილებისა და აქტივობების პოპულარიზაციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში თანამონაწილეობა (სახალხო დღესასწაულები, ფესტივალები და სხვა);

34.წყალტუბოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით კომუნიკაციის არხების/მეთოდების განსაზღვრა და განხორციელება მიზნობრივი ბაზრების მიხედვით;

35.წყალტუბოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და მისი წარმოჩენის მიზნით, საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე, ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების პროპაგანდა, დაგეგმილ პრეზენტაციებში, პრეს-კონფერენციებსა და სხვა მარკეტინგულ ღონისძიებებსა და მარკეტინგულ კამპანიებში შესაბამისი ინფორმაციის/რეკლამის ინტეგრირების გზით;

36.ტურისტული პროდუქტების, პროექტებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო მასალის (ბეჭდვითი, ვიდეო, ციფრული და სხვა) მომზადებისა და მასიური არხებით გავრცელების ორგანიზება/თანამონაწილეობა;

37.ტურისტული პროდუქტების, პროექტებისა და წყალტუბოს შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო მასალაში ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის/რეკლამის ინტეგრირება;

38.ცენტრის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მესამე პირებთან ურთიერთობებში და ადმინისტრაციის წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

39.კომპეტენციის ფარგლებში დადადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა და მათზე გადაწყვეტილებების (პასუხების) პროექტების მომზადება;

40.დადგენილი წესით საჯარო ინფომაციის გაცემის უზრუნველყოფა;

41.ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;

42. წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;

მუხლი 4. „ცენტრის“ ხელმძღვანელობა

1. „ცენტრს“ ხელმძღვანელობს დირექტორი, დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. დირექტორს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ცენტრის“ დირექტორი:

2.1 მოქმედებს ,,ცენტრის“ სახელით და წარმოადგენს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითრების საკოორდინაციო ცენტრს“ სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

2.2 „ცენტრის“ სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით იძენს „ცენტრის“ ქონებას; უფლებამოსილია მიიღოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის გადმოცემული ფინანსური სახსრები და მოძრავი ნივთები სარგებლობაში/საკუთრებაში, უძრავი ნივთები სარგებლობაში.

2.3 წარმართავს „ცენტრის“ საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს ,,ცენტრის'' კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე; ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას;

2.4 ახორციელებს ზედამხედველობას ,,ცენტრის'' საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს თანამშრომლების საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

2.5 კომპეტენციის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ,,ცენტრის'' სახელით;

2.6 უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს ტურიზმის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე;

2.7 შეიმუშავებს ,,ცენტრის'' სამოქმედო გეგმასა და პრიორიტეტებს.

2.8 ზრუნავს ადმინისტრაციის თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

2.9 თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს;

2.10 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად და/ან ცვლილების განსახორციელებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს და ხარჯთაღრიცხვას.

2.11 ნიშნავს და ათავისუფლებს „ცენტრის“ თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს;

2.12 განსაზღვრავს „ცენტრის“ თანამშრომელთათვის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

2.13 ამტკიცებს ,,ცენტრის“ შინაგანაწესს;

2.14 წყვეტს „ცენტრის“ ამოცანებით, ფუნქციებით და უფლებამოსილებით გათვალისწინებულ საკითხებს;

2. 15 განსაზღვრავს ,,ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას;

2. 16 ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას „ცენტრის“ თანამშრომლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე;

2. 17 ზედამხედველობს და პასუხს აგებს ქონების დაცვისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;

2. 18 ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ხელს აწერს „ცენტრის“ საფინანსო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციას;

2. 19 აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე, დროებითი იწვევს სამუშაოდ სპეციალისტებს სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

2. 20 იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩატარების თაობაზე და ასეთ შემთხვევაში ამტკიცებს კონკურსის ჩატარების წესს, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ჩატარების პირობები, პროცედურები, ეტაპები და კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად ქმნის საკონკურსო კომისიას.

2. 21 დირექტორი ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

მუხლი 5. „ცენტრის“ ქონება, ფინანსური საქმიანობა

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, „ცენტრს“ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. „ცენტრის“ საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან.

3. „ცენტრის“ დაფინანსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტი;

ბ) შემოწირულობები;

გ) სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი წყაროები;

დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

4. ,,ცენტრი'' უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული

მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

მუხლი 6. საქმიანობის კონტროლი

1. ,,ცენტრი"-ს საქმიანობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილ კონტროლს.

2. ,,ცენტრი"-ს საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, ,,ცენტრი"-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ,,ცენტრი"-ს საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 7. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის" წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანების ამოქმედებიდან;

2. თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

3. ამ წესდებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

საქართველო
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი"
Georgia
Non-Entrepreneurial/Non-Profit/Legal Entity
"Tskaltubo Municipality Tourism Development Coordination Center"

N 126/26
06.11.2026

26-126-2-202611061211

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენად

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ ფაქტობრივად ფუნქციონირებს ახალ მისამართზე - ქ.წყალტუბო, გალაკტიონ ტაბიძის ქ. 3ა და აღარ იმყოფება რეგისტრირებულ (ძველ) იურიდიულ მისამართზე - ქ.წყალტუბო,შოთა რუსთაველის ქ. 39ა.

ორგანიზაციული საქმიანობის ჯეროვნად წარმართვის, ოფიციალური კორესპონდენციის შეუფერხებლად მიღებისა და რეესტრის მონაცემების სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ და უზრუნველყოთ შესაბამისი პროცედურების განხორციელება ორგანიზაციის იურიდიული მისამართის ცვლილებასა და აღნიშნული ცვლილების ორგანიზაციის წესდებაში ასახვასთან დაკავშირებით.

მერაბ მელაძე

დირექტორი - მ.შ.
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“